



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ოქმი N 10**

ქ. ლანჩხუთი

18. 10. 2017 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვამე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ჯუმბერ ზლაგიძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელის“ თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს ფრაქცია „უკეთესი ლანჩხუთისათვის“ თავმჯდომარე ომარ გოგიჩაიშვილი, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო მიძიგური. საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ზუგუაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია. გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გულინა კუნჭულია, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ომარ ჯანაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ 16 და 17 ოქტომბერს ძლიერი სტიქია მძვინვარებდა სრულიად საქართველოსა და მათ შორის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში. საკრებულოს ძალიან ბევრი დეპუტატი და დეპუტატობის

კანდიტატი აქტიურად იყენენ ჩართულები სტიქიის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესებში, რისთვისაც მათ მადლობა გადაუხადა. საკრებულოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ შექმნილია ოთხი ჯგუფი, რომელთა მიერ ზუსტდება მიყენებული ზარალის რაოდენობა. უახლოეს დღეებში სრულად იქნება აღრიცხული და დათვლილი სტიქიის საბოლოო შედეგები, რათა მოსახლეობამ მიიღოს გარკვეული კომპენსაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოვიდა 2017 წლის 02 ოქტომბრის N5609 და 2017 წლის 13 ოქტომბრის N5769 წერილები, რომლებიც ეხება შპს „GL“-ის დამფუძნებლის, პავლე ორაგველიძის და კომპანია „Todini Costuzione Generali S.P.A“-ს წარმომადგენლის, სოჰეილ აბასის განცხადებებს, რომლითაც ინდივიდუალურად ითხოვენ სოფელ შუხუთში მდებარე ე.წ ფერმერთა სახლის სარგებლობის უფლებით გადაცემას. საკრებულოს თავმჯდომარის აზრით, აღნიშნული საკითხები არ არის ღრმად შესწავლილი, ბუნდოვანია და ახლავს ძალიან ბევრი ხარვეზი. ამასთან, მუნიციპალიტეტის გამგეობიდან ოფიციალურად არ არის პროექტი განსახილველად შემოსული. მან თხოვნით მიმართა გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურს, ასევე საკრებულოს დარგობრივ კომისიას, კერძოდ, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარეს გიორგი ჩახვამეს, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს რომან ბიწამეს, რათა ერთობლივად უზრუნველყონ განმცხადებლებთან შეხვედრა, მათი პოზიციებისა და განცხადებების სამართლებრივ ჭრილში დაზუსტება.

გარდა ამისა, საკრებულოს თავმჯდომარისა და ბიუროს წევრების მიერ ერთსულოვნად ეთხოვა აღმასრულებელ ხელისუფლებას შემჭიდროებულ ვადებში, საკრებულოს მორიგ სხდომამდე, წარმოადგინონ გამგეობის იურიდიული სამსახურისა და ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის დასკვნები აღნიშნულ განცხადებებზე, მათი მკვეთრი პოზიცია ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით. ასევე, შესაბამისმა სამსახურმა უზრუნველყოს სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება და წარმოდგენა, რათა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიღებულ იქნას ყველაზე ოპტიმალური, სამართლიანი გადაწყვეტილება, რომელიც არ დააზარალებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** ასევე აღნიშნა, რომ სოფელ შუხუთში მდებარე ე.წ ფერმერთა სახლის სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით პარლამენტის წევრი, ნინო წილოსანი ობიექტურობის და სამართლიანობის მომხრეა. მისი პოზიციაა, რომ საკითხი განხილულ იქნას სამართლებრივ ჭრილში და მუნიციპალიტეტს მოუტანოს მაქსიმალური სარგებელი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** თხოვნით მიმართა ბიუროს წევრებს კენჭი ეყარათ აღნიშნული საკითხის დღის წესრიგის პროექტიდან ამოღებასთან დაკავშირებით.

მომხრე 8 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, ია ჩხაიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხში გაერთიანებულია გამგეობიდან შემოსული შპს „ჯანმრთელობა“-ს დირექტორის განცხადება ქ. ლაჩხუთში, კვირკველიას ქ. N16 ბ-ში მდებარე 113 კვ.მ.(მიწის (უძრავი ქონების) ს/კ 27.06.51.282) არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით (იჯარა) გადაცემის თაობაზე. დეპუტატის აზრით, ეს საკითხი საკმაოდ დელიკატურია. გასული წლის ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით შეიქმნა გარკვეული პრობლემები. ის შემოსავლები, რომელთა მოლოდინები გათვალისწინებული იყო, არ გამართლდა, რადგან ზოგიერთი ობიექტი ამოღებულ იქნა საპრივატიზაციო ნუსხიდან, ზოგი არ გაიყიდა და ა.შ. ერთ - ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ეხებოდა სწორედ ამ კონკრეტულ მიწის ფართობს, რომელსაც ბიზნეს-ინტერესებიდან გამომდინარე ამჟამად ითხოვს დეპუტატი ამირან ქანთარია, რათა გადაეცეს იჯარით, რადგან ეს საკმაოდ პრესტიჟული ადგილია ქალაქის ცენტრში. აუქციონი იძლევა იმის პირობას, რომ მუნიციპალიტეტმა რაც შეიძლება მეტი სარგებელი ნახოს. თავის დროზე საპრივატიზაციო ნუსხაში აღნიშნული ტერიტორია ორ ნაწილად იქნა წარმოდგენილი. საკრებულოს ყველა კომისიამ და ფრაქციამ განიხილა საკითხი და მოიწონა, რომ ნაკვეთი შეტანილი ყოფილიყო გასაყიდ ნუსხაში. ამის შემდეგ, საკრებულოს სხდომაზე დეპუტატმა ამირან ქანთარიამ განაცხადა, რომ წინააღმდეგია გაიყიდოს აღნიშნული მიწის ნაკვეთი, რადგან ხდება მოსახლეობის ინტერესების უგულებელყოფა და მოტივად დაასახელა მიმდებარე ბინაში მცხოვრები მოქალაქეების მიერ წარმოდგენილი ხელწერები, რომლითაც ისინი ამ ტერიტორიაზე ითხოვდნენ დასასვენებელი პარკის გაკეთებას. დეპუტატების მიერ განხილვის და მსჯელობის შედეგად საბოლოოდ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ აღნიშნული მიწის ფართობი ამოღებული ყოფილიყო საპრივატიზაციო ნუსხიდან, რის დასტურად საკრებულოს წევრმა ბიუროს სხდომას წარუდგინა საკრებულოს 2016 წლის 25 მარტის სხდომიდან ამონაწერი. მისი თქმით, ყოველივე ამის შედეგად დაზარალდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, რადგან მიწის ფართი აღარ გაიყიდა და ის სოლიდური თანხა, რომელიც გათვალისწინებული იყო, ადგილობრივ ბიუჯეტში არ შემოვიდა. დღეს კი კოლეგას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, შემოაქვს განცხადება და ითხოვს აღნიშნული მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემას. ადგილი აქვს დეპუტატის მანდატის პირადი მიზნებისთვის გამოყენებას. დეპუტატები საკრებულოში იმისთვის არიან შემოსულები, რომ აღასრულონ კანონიერება და დაიცვან როგორც მოსახლეობის, ასევე მუნიციპალიტეტის ინტერესები, მიუხედავად იმისა, პარტიული სიით არიან წარმოდგენილები თუ დამოუკიდებლად იყრიან კენჭს. საკრებულოს წევრის აზრით, ეს არის დანაშაული, დეპუტატის მიერ თავისი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, ია ჩხაიძემ მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს მოთხოვნით, რომ აღნიშნული საკითხი უპირობოდ იქნას ამოღებული დღის წესრიგის პროექტიდან და აღნიშნული მიწის ნაკვეთი ისევ შევიდეს საპრივატიზაციო ნუსხაში, რადგან გაიყიდოს აუქციონის წესით და ისარგებლოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა. ადამიანები საკუთარი ინტერესების გამო არ უნდა ცდილობდნენ მუნიციპალიტეტის

საკრებულოში შემოსვლას, არამედ მათ უნდა ემსახურონ და გამოადგინონ საკუთარ ხალხს და ქვეყანას.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ ეს არის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოსული წერილი, რომელიც ეხება მოქალაქის განცხადებას. აღნიშნული ობიექტი თავის დროზე მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებით ამოღებულ იქნა საპრივატიზაციო ნუსხიდან. ამჟამად კი მუნიციპალიტეტის გამგეობა არ ითხოვს მიწის ნაკვეთის საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანას ან არ შეტანას. დეპუტატის აზრით, საკითხი არ არის სათანადოდ მომზადებული.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის, **ჯუმბერ ბლაგიძის** თქმით, სრულიად ესმის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის, ია ჩხაიძის პათოსი, მაგრამ აღნიშნული საკითხი მუნიციპალიტეტის გამგეობამ, ახლადარჩეულმა მერმა უნდა შემოიტანოს მომზადებული, დასაბუთებული სახით ისე, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს არ მიადგეს რაიმე ზარალი და ამის შემდეგ განიხილოს მომავალი მოწვევის საკრებულო.

საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელის“ თავმჯდომარე, **ემზარ თევდორაძე** დაინტერესდა, თუ რატომ უნდა გადააბარონ განსახილველად ეს თემა მომავალ საკრებულოს. მისი აზრით, სრულიად შესაძლებელია მოსაზრებების, არგუმენტაციების გათვალისწინებით მოხდეს აღნიშნული საკითხის ამ მოწვევის საკრებულოს მიერ დამტკიცება.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** განმარტა, რომ ამ საკითხის ახლა დამტკიცება არ შეიძლება, რადგან ობიექტი საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოღებულია, ხოლო ნუსხაში ისევ შესატანად საჭიროა ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. მუნიციპალიტეტის გამგეობიდან კი საკრებულოში გადმოგზავნილია მხოლოდ განცხადება და არა მომზადებული პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

2. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

3. სხვადასხვა.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტის შესწორებულ ვარიანტს:

მომხრე 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის თარიღად განისაზღვრა 2017 წლის 27 ოქტომბერი, 11:00 საათი.

ბიუროს სხდომას შემოუერთდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: . „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს დაეწერა სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის მიმდინარე წლის 1 აგვისტოს N791 წერილი, რომელსაც თან ერთვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, ელგუჯა გვაზავას (2017 წლის 27 ივლისის) №243 წერილი, მუნიციპალიტეტში დევნილთა პრობლემებზე მომუშავე პასუხისმგებელი პირის საშტატო ერთეულის შემოღებასთან დაკავშირებით. ვინაიდან სახელმწიფო ახორციელებს დევნილთა საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფის და კომპაქტურად ჩასახლების პროგრამას, აგრეთვე ხორციელდება სხვადასხვა პროგრამები როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. იმისათვის, რომ დევნილების პრობლემები მაქსიმალურად იქნას მიტანილი მთავრობამდე და მათაც ხელი მიუწვდებოდეთ სახელმწიფო სერვისებსა და სხვა, მათთვის განკუთვნილ სიკეთეებზე, მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვნად მიაჩნიათ სპეციალური საშტატო ერთეულის არსებობა, რომელიც კონცენტრირებული იქნება უშუალოდ დევნილთა პრობლემების მოგვარებაზე. აქედან გამომდინარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურს (2017 წლის 2 აგვისტოს N970 წერილი) მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული საკითხი განხორციელდეს სოციალურ საკითხთა, განათლების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურში ერთ-ერთი გამოთავისუფლებული თანამშრომლის მიერ და დაევალოს დევნილთა საკითხების მოგვარება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იმისათვის რომ დევნილების პრობლემები მაქსიმალურად იქნას მიტანილი მთავრობამდე და მათაც ხელი მიუწვდებოდეთ სახელმწიფო სერვისებსა და სხვა მათთვის განკუთვნილ სიკეთეებზე, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია სპეციალური საშტატო ერთეულის არსებობა, რომელიც კონცენტრირებული იქნება უშუალოდ დევნილთა პრობლემების მოგვარებაზე. ამისათვის, სამსახურის სტრუქტურაში უნდა შევიდეს ცვლილება. კერძოდ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურში განათლებისა და კულტურის განყოფილების წამყვანი სპეციალისტის შტატის შემცირების ხარჯზე ერთი წამყვანი სპეციალისტის შტატით გაიზარდოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის, **რომან ბიწაძის** აზრით, მუნიციპალიტეტის საკრებულომ ერთხელ უკვე უგულებელყო წინა მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება პრემიების გაცემასთან დაკავშირებით და მხოლოდ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად მოხდა მისი აღსრულება. მუნიციპალიტეტის ახლადარჩეული მერი ნოემბრის თვიდან შეუდგება საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებას. მან უნდა შექმნას ახალი სტრუქტურა. დეპუტატის აზრით, წარმოდგენილი საკითხის განხილვასთან დაკავშირებით დალოდება უფრო უმჯობესია. ამასთან, მიმდინარეობს საარჩევნო პერიოდი და საშტატო ნუსხაში ცვლილების შეტანა არ შეიძლება, მით უმეტეს, რომ წარმოდგენილ პროექტში ზედმეტადაა დაკონკრეტებული დეტალები. დეპუტატის აზრით, პატივისცემას საჭიროებს მომავალი საკრებულო და მუნიციპალიტეტის ახლადარჩეული მერი.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია და საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „დამოუკიდებელი“, „მაჟორიტარები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩხუთისათვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ოქტომბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, თამარ ფირცხალაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას წარუდგინა გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 27 სექტემბერს გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურს დაეწერა ა(ა)იპ ლანჩხუთი „ტექ-სერვისის“ N56 წერილი, რომელიც ეხება მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების გარე განათებაში შექმნილ რთულ ვითარებას ნათურებისა და სხვა მარაგი ნაწილების უკმარისობის გამო. სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, მდგომარეობის გამოსწორებლად გამოეყოს ა(ა)იპ „ტექ-სერვის“-ს 13 000 ლარი. აღნიშნული ხარჯის წყაროდან განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის თავისუფალი სახსრების ნაშთი 13 000 ლარის ოდენობით. წინადადება შესათანხმებელია ფინანსთა სამინისტროსთან. მოლოდინი, რომ 263 000 ლარი შემოვიდოდა ობიექტების

გაყიდვების შედეგად, არ გამართლდა, რამაც ხარჯვით ნაწილში ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა დაძაბა.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს N1705 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის N480 განკარგულებაში ცვლილების შეტანის საფუძველზე შემცირდა ხიდების რეაბილიტაცია 8 452 ლარით. აქედან, სახელმწიფო ფონდის ხარჯზე 8 029 ლარი, თანადაფინანსების ხარჯზე 423 ლარი, რაც უნდა აისახოს ბიუჯეტში.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.
2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „დამოუკიდებელი“, „მაჟორიტარები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩხუთისათვის“.
3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ოქტომბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა:

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ კომისიას განსახილველად დაეწერა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების, სასკოლო მზაობის

პროგრამის მიწოდების მონიტორინგის შეფასების ანგარიშგების სისტემის შემუშავების მიზნით ნორმატიული აქტების მიღების საკითხი. კომისიამ იმსჯელა აღნიშნული საკითხის შესახებ და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება, მაგრამ პროექტი მოიხსნა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგიდან ფინანსური უზრუნველყოფის არქონის გამო. მან, როგორც საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, ამასთან დაკავშირებით საკრებულოს სხდომაზე გააკეთა შესაბამისი განცხადება. მისი თქმით, ფინანსური უზრუნველყოფა ესაჭიროება მხოლოდ პირველ და მეორე ნორმატიულ აქტს, ხოლო მე-3, მე-4 და მე-5 ნორმატიულ აქტებთან დაკავშირებით ამის აუცილებლობა ნამდვილად არ არის, რადგან ისინი შეეხება ეთიკისა და ქცევის ნორმებს, შიდა პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების წესებს. ყოველივე აქედან გამომდინარე, სრულიად შესაძლებელი იყო საკრებულოს მიერ სამი ნორმატიული აქტის მიღება, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. დეპუტატმა თავის დროზე თხოვნით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს კონტროლზე ყოფილიყო აყვანილი აღნიშნული საკითხი, რათა მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას ზედამხედველობა გაეწია გამგეობის შესაბამისი სამსახურისთვის, რომ დროულად, უმოკლეს ვადაში მათ მიერ მოწოდებულ ყოფილიყო ფინანსური გათვლები, რომელიც საჭიროა აღნიშნული ნორმატიული აქტების ასამოქმედებლად.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის, ია ჩხაიძის თქმით, საკრებულოს მაშინდელ სხდომაზე დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტში 3 წლის განმავლობაში აშენდა რამდენიმე ახალი საბავშვო ბაღი და ბიუჯეტიდან დაიხარჯა დაახლოებით ორი მილიონი ლარი, მაგრამ არც ერთი მათგანი არ შეესაბამება იმ სტანდარტებს, რომელთაც ითხოვს მთავრობა. სკოლამდელ საღმრთედლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან შედარებით ჯერჯერობით მთავრობას არ აქვს მიღებული სტანდარტები. ამიტომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს მხრიდან რაიმე ნორმატიული აქტის მიღება არ იქნება მართებული. რასთან დაკავშირებით საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ამ ნორმატიულ აქტებს არანაირი შეხება არ აქვს იმ სტანდარტებთან, რასაც სახელმწიფო ადგენს საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურული კუთხით მოწყობასთან მიმართებაში. სწავლების სტანდარტი და ხარისხი მოწოდებულია მთავრობის მიერ. სწორედ ამიტომ კანონი „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ პირდაპირ ავალდებულებს მუნიციპალიტეტების საკრებულოებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების, სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის შეფასების ანგარიშგების სისტემის შემუშავების მიზნით მიიღოს ნორმატიული აქტები, მაგრამ თუ ისინი არ იქნა დროულად მიღებული, მაშინ მომავალი მოწვევის საკრებულო ვერ შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. ავტორიზაცია არ არის მხოლოდ ინფრასტრუქტურა, არამედ ეს არის სანიტარულ - ჰიგიენური ნორმები, აღმზრდელ - პედაგოგების კვალიფიკაცია და ა. შ. ამიტომ, ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს ეს პროცესი. აქედან გამომდინარე, საუბარია პირობით ავტორიზაციაზე. 2018 წლის 31 დეკემბრისთვის უნდა დასრულდეს ავტორიზაციის პროცესი. არც ერთი საბავშვო ბაღი არ გაუქმდება, არამედ მათ მიეცემათ პირობითი ავტორიზაცია და განესაზღვრებათ 2 წლიანი ვადა, ანუ 2020 წლისთვის უნდა დასრულდეს მთლიანად ეს პროცესი. ამასთან, სამოქმედო გეგმა უნდა გაიწეროს იმის მიხედვით, თუ როგორ იქნება საბოლოო შედეგი მიღწევადი.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, ია ჩხაიძე დაინტერესდა, თუ რა გაკეთდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მისი მოთხოვნის შემდეგ და რა ზომები იქნა გატარებული, რათა პროექტი მოწოდებული ყოფილიყო სათანადო ფინანსური გათვლების გათვალისწინებით.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის, **რომან ბიწაძის** თქმით, ის მხარს უჭერს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შეიძლებოდა ყოფილიყო ერთ - ერთი მოწინავე ქვეყნის მასშტაბით, რადგან წამოწყება იყო ძალიან კარგი, მაგრამ სამწუხაროდ, ახლა ამ რეფორმასთან მიმართებაში თითქმის ბოლო ადგილზე იმყოფება.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** აღნიშნა, რომ გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის და საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ გაწეულ იქნა გარკვეული სამუშაო, მაგრამ სტრუქტურის ჩამოყალიბების კუთხით თითქმის არაფერი არ გაკეთებულა. არ არსებობს ფინანსური გათვლები. ამ პროცესებში აქტიურად უნდა ყოფილიყო ჩართული ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრი. მისი თქმით, იმის მიხედვით, ოფიციალურად თუ რა გათანაბრებითი ტრანსფერიცაა გამოყოფილი მუნიციპალიტეტისთვის, რომელიც 2018 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში უნდა გაითვალისწინებოდა, ნორმატიული აქტების ფინანსური უზრუნველყოფის კუთხით არანაირი ასახვა არ არის გათვალისწინებული. გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურს დაეწერა აღნიშნული საკითხი განსახილველად, მაგრამ ახალი აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ პროექტთან დაკავშირებით გარკვეული პოზიციის ჩამოყალიბების გარეშე, ერთპიროვნულად გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს, რადგან დაგეგმვას უნდა ახლდეს სრულყოფილი კაპიტალდაბანდებები.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე, **ალექსანდრე მახათაძე** დაეთანხმა გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსს, როლანდ ლაშხიას და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მომავალმა მერმა უნდა აიღოს საკითხთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა და ამ კუთხით ჩამოაყალიბოს თავისი ხედვა.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ ამ მოწვევის საკრებულოს შექმნის თვისი უფლებამოსილების ფარგლებში მიეღო სამი ნორმატიული აქტი, რომლებიც არ საჭიროებდნენ ფინანსურ უზრუნველყოფას, მით უმეტეს, რომ საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ეს პროექტი მომზადებული აქვს თბილისის საკრებულოში შექმნილ სამუშაო ჯგუფთან ერთად.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების, სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის შეფასების ანგარიშგების სისტემის შემუშავების მიზნით ნორმატიული აქტების მიღების საკითხს, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ მართლაც რომ ერთ - ერთმა პირველმა მოამზადა პროექტი, რომელიც ყველა დონეზე ძალიან კარგადაა შეჯერებული. სხვადასხვა მუნიციპალიტეტების მიერ მოხდა ერთი ან რამდენიმე ნორმატიული აქტის მიღება, არიან მუნიციპალიტეტები, რომლებმაც საერთოდ ვერ დაამტკიცეს აღნიშნული პროექტი რადგან ის ფინანსური უზრუნველყოფა, რაც ნორმატიულ აქტებს ესაჭიროება, ძალიან რთული შესასრულებელია.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის, **ჯუმბერ ბლაგიძის** თქმით, ძალიან მოხარულია, რომ სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში აშენდება სამი ახალი საბავშვო ბაღი. ასევე აღნიშნა, რომ ისეთი ძლიერი სტიქია, რომელსაც გასულ დღეებში ქონდა ადგილი მუნიციპალიტეტში, ბოლო რამდენიმე წელია, არ ყოფილა. მან თხოვა საკრებულოს თავმჯდომარეს, რომ მიმართოს მთავრობას და პარლამენტის წევრს, ნინო წილოსანს შუამდგომლობით, რომ იქნებ გურიის რეგიონში მოსახლეობას, როგორც ქვეყნის მასშტაბით ყველაზე უფრო დაზარალებულებს სტიქიის შედეგად, გამოეყოთ კომპენსაციები.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ სოფელ ჩიბათის საბავშვო ბაღის შენობას სტიქიამ გადახადა სახურავი. ზარალი აღრიცხული და გადაგზავნილია აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის. მან თხოვნით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, რომ სანამ მთავრობის მიერ მოხდება მუნიციპალიტეტისთვის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ თანხის გამოყოფა, იქნებ სარეზერვო ფონდიდან გამოიყოს მცირე თანხა საბავშვო ბაღის შენობის სახურავის შესაკეთებლად.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის, **რომან ბიწაძის** თქმით, ის მხარს უჭერს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარეს, რომ სარეზერვო ფონდიდან გამოეყოს საბავშვო ბაღს გარკვეული თანხა. ამის შემდეგ დეპუტატმა თხოვნით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, რომ ამ მოწვევის საკრებულოს მიერ მოსმენილ იქნას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების 9 თვის ანგარიში, რომელსაც შესაბამისად უნდა დაესწროს მუნიციპალიტეტის გამგებელი.

საკრებულოს ფრაქცია „უკეთესი ლანჩხუთისათვის“ თავმჯდომარემ, **ომარ გოგიჩაიშვილმა**, აღნიშნა, რომ აზიურ ფაროსანასთან საბრძოლველად მოსახლეობას ურიგდება სპეციალური შესაწამლი პრეპარატი, მაგრამ მრავლადაა მიტოვებული ოჯახები, რომლებიც ჩაბარებული აქვს მეზობლებს თუ ახლობლებს. მომავალში ეს სახლები გახდება მავნებლების გავრცელების ბუდე. ამიტომ აუცილებელია რაღაც ღონისძიებების გატარება ამ კუთხით.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის, **რომან ბიწაძის** განცხადებით, შესაწამლი პრეპარატის რაოდენობა გათვლილია 14 000 ოჯახზე, რაც იმაზე გაცილებით მეტია, ვიდრე საჭიროა, რადგან გათვალისწინებულია ესა თუ ის შემთხვევა, მაგრამ მოსამებნია რაღაც მექანიზმი, რომ ამ კატეგორიის სახლებზეც გაიცეს შესაწამლი ნივთიერება.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

გიორგი ხელაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
საკრებულოს ბიურო

